ოქმი №8

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის მერვე სხდომის

29 ივლისი 2022 წელი.

სხდომაზე საკრებულოს 39 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 28 (ოცდარვა) წევრმა. (სია თან ერთვის).

ესწრებოდა: გ. ჯუღელი - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე;
ვ. ჩინჩალაძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის პასუხისმგებელი პირები, პრესისა და ტელევიზიის მუშაკები.

სხდომა გახსნა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ _ ვახტანგ ღამბაშიძემ.

მან სხდომას გააცნო დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი.

პირველი - ,,ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 15 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მეორე - ქ. ზესტაფონში სტაროსელსკის ქუჩა N14-ში მდებარე 2683 კვ.მ-ი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კოდზე: 32.10.33.319) და ქ. ზესტაფონში სტაროსელსკის ქუჩა N14 -ში მდებარე 3376 კვ.მ-ი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კოდზე: 32.10.33.318), ს.ს. ,,ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაზე" უსასყიდლო სარგებლობის ფორმით გადაცემის თაობაზე.

მესამე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ცხრაწყაროს ადმინისტრაციული ერთეულის N2 და N3 ქუჩებისათვის სახელი „იმერეთის" მინიჭების შესახებ.

მეოთხე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მეორე სვირის ადმინისტრაციული ერთეულის N39-ე ქუჩისათვის „ვახტანგ აბულაძის" სახელის მინიჭების შესახებ.

მეხუთე - საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი პროექტების დაფინანსების მიღების მიზნით მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადებული წინადადებების მოწონების თაობაზე.

ვ. ღამბაშიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) გამოაცხადა ღია კენჭისყრა, დღის წესრიგის დასამტკიცებლად.

დამსწრე ყველა დეპუტატის მხარდაჭერით დამტკიცდა დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი.

ლ. ჭანტურიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი) სხდომის წარმართვა მოითხოვა პირდაპირ ეთერში, რაზეც განემარტა, რომ აღნიშნული საკითხი შესწავლილი იქნება და მიიღება კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

1. ,,ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 15 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

(მომხსენებელი ვ. ჩინჩალაძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

მომხსენებელმა ვ. ჩინჩალაძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი) საკრებულოს წევრებს გააცნო ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 29 ივლისის N22-222221012 (შემ. N12-23222101-23; 29.07.22) მომართვა და ,,ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 15 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტი.

საკითხის განხილვა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

დ. ფერაძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე) აღნიშნა, რომ მისასალმებელია მუნიციპალიტეტის მხრიდან იმ საკითხებზე ყურადღების გამახვილება, რაც მის მიერ იქნა დასმული წინა საკრებულოს სხდომებზე. ეს შეეხება კეთილაძის ქუჩაზე სკვერის ტერიტორიას და დასუფთავების სამსახურის მიერ ჭის მჭრელი მანქანის შეძენის საკითხს, რაზეც მან მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას.

ამასთან გამოთქმული იქნა სხვა სახის წინადადებები. ეს შეეხებოდა ფაბრიკის მიმდებარედ საცხოვრებელ კორპუსზე სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობას, ბაღების გაერთიანებაში დირექტორის მოადგილის საშტატო ერთეულის საჭიროებაზე დამატებითი მსჯელობის საკითხს, უპატრონო ძაღლების/პირუტყვის სამართლებრივი მოწესრიგების საკითხს და სოფელ ზოვრეთსა და ქვედა საზანოში მინი სტადიონების მოწყობის საკითხს.

გ. მაჭავარიანმა (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი) აღნიშნა, რომ ზესტაფონის მკვიდრი გოგილო ყინჩიყიძე, რომელიც გახლავთ მისი თაობის წარმომადგენელი და იცნობს ქალაქის ძირითადი ნაწილი, ამავდროულად შეწუხებილია მის ჯანმრთელობის და ფინანსურ მდგომარეობაზე, მიზანშეწონილად მიაჩნია, გამოძებნილი იქნას რაღაც ფორმა მისი ფინანსური დახმარების მიზნით ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე.

ვ. ღამბაშიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) დეპუტატებს შეახსენა, რომ საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული სხდომის დღის წესრიგით, დასმული იქნას „სხვადასხვა" საკითხების განხილვის დროს, რაც უნდა გაითვალისწინოს თითოეულმა საკრებულოს წევრმა სამომავლოდ.

ვ. ღამბაშიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) გამოაცხადა ღია კენჭისყრა.

დამსწრე ყველა დეპუტატის მხარდაჭერით მიღებული იქნა დადგენილება.

(თან ერთვის).

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

2. ქ. ზესტაფონში სტაროსელსკის ქუჩა N14-ში მდებარე 2683 კვ.მ-ი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კოდზე: 32.10.33.319) და ქ. ზესტაფონში სტაროსელსკის ქუჩა N14 -ში მდებარე 3376 კვ.მ-ი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კოდზე: 32.10.33.318), ს.ს. ,,ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაზე" უსასყიდლო სარგებლობის ფორმით გადაცემის თაობაზე.

(მომხსენებელი გ. ჯუღელი - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე)

მომხსენებელმა გ. ჯუღელმა (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე) საკრებულოს წევრებს გააცნო ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 12 ივლისის N22-2222195138 (შემ. N12-23221942-23; 13.07.22) მომართვა, ქ. ზესტაფონში სტაროსელსკის ქუჩა N14-ში მდებარე 2683 კვ.მ-ი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კოდზე: 32.10.33.319) და ქ. ზესტაფონში სტაროსელსკის ქუჩა N14 -ში მდებარე 3376 კვ.მ-ი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კოდზე:

32.10.33.318), ს.ს. „ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაზე“ უსასყიდლო სარგებლობის ფორმით გადაცემის თაობაზე.

ვ. ღამბაშიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) გამოაცხადა ღია კენჭისყრა.

დამსწრე ყველა დეპუტატის მხარდაჭერით საკრებულომ გადაწყვიტა:

მიეცეს თანხმობა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიას, ქ. ზესტაფონში სტაროსელსკის ქუჩა N14-ში მდებარე 2683 კვ.მ-ი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კოდზე: 32.10.33.319) და ქ. ზესტაფონში სტაროსელსკის ქუჩა N14 -ში მდებარე 3376 კვ.მ-ი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კოდზე: 32.10.33.318), უსასყიდლო სარგებლობის ფორმით გადასცეს ს.ს. „ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას“ დროებით (2 წლის ვადით).

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

3. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ცხრაწყაროს ადმინისტრაციული ერთეულის N2 და N3 ქუჩებისათვის სახელი „იმერეთის“ მინიჭების შესახებ.

(მომხსენებელი ი. ფუტკარაძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მომხსენებელმა ი. ფუტკარაძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე) საკრებულოს წევრებს გააცნო საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2022 წლის 7 ივლისის N01/2169 (შემ. N04-23221891-23; 08.07.22) მომართვა და „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ცხრაწყაროს ადმინისტრაციული ერთეულის N2 და N3 ქუჩებისათვის სახელი „იმერეთის“ მინიჭების შესახებ“ განკარგულების პროექტი.

ვ. ღამბაშიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) გამოაცხადა ღია კენჭისყრა.

დამსწრე ყველა დეპუტატის მხარდაჭერით მიღებული იქნა განკარგულება.

(თან ერთვის).

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

4. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მეორე სვირის ადმინისტრაციული ერთეულის N39-ე ქუჩისათვის „ვახტანგ აბულაძის“ სახელის მინიჭების შესახებ.

(მომხსენებელი ი. ფუტკარაძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მომხსენებელმა ი. ფუტკარაძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე) საკრებულოს წევრებს გააცნო საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2022 წლის 7 ივლისის N01/2169 (შემ. N04-23221891-23; 08.07.22) მომართვა და „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მეორე სვირის ადმინისტრაციული ერთეულის N39-ე ქუჩისათვის „ვახტანგ აბულაძის“ სახელის მინიჭების შესახებ“ განკარგულების პროექტი.

ვ. ღამბაშიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) გამოაცხადა ღია კენჭისყრა.

დამსწრე ყველა დეპუტატის მხარდაჭერით მიღებული იქნა განკარგულება.

(თან ერთვის).

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

5. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს_რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი პროექტების დაფინანსების მიღების მიზნით მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადებული წინადადებების მოწონების თაობაზე.

(მომხსენებელი გ. ჯუღელი - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე)

მომხსენებელმა გ. ჯუღელმა (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე) საკრებულოს წევრებს გააცნო ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 12 ივლისის N22-2222202124 (შემ. N12-23222031-23; 22.07.22) მომართვა და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი პროექტების დაფინანსების მიღების მიზნით მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადებული წინადადებების მოწონების თაობაზე“ განკარგულების პროექტი.

ვ. ღამბაშიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) გამოაცხადა ღია კენჭისყრა.

მომხრე: 26.

წინააღმდეგი: 2.

დეპუტატთა უმრავლესობის მხარდაჭერით მიღებული იქნა განკარგულება.

(თან ერთვის).

ვ. ღამბაშიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ვახტანგ ღამბაშიძე**

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2022 წლის 29 ივლისის სხდომაზე
დამსწრე დეპუტატთა
ს ი ა

1. ვახტანგ ღამბაშიძე
2. გიორგი კაკოიშვილი
3. ირმა გიორგაძე
4. მამუკა მოდებაძე
5. ბადრი წაქაძე
6. ანგი ბოჭორიშვილი
7. კახაბერ გოქაძე
8. ილია ფუტკარაძე
9. თემური მაღლაკელიძე
10. ნუგზარ ფერაძე
11. მაია ჩხეიძე
12. დავით მიქაბერიძე
13. მამუკა კურტანიძე
14. ირაკლი კვეტენაძე
15. ჯემალ ჯუღელი
16. ვლადიმერ კამლაძე
17. დავით ფერაძე
18. მიხეილ ფოცხვერაშვილი
19. გოჩა მაჭავარიანი
20. ნანა ფერაძე
21. მარეხი ქათამაძე
22. უჩა ჩუბინიძე
23. ზურაბ ყანჩაველი
24. პაატა ნასრაძე
25. ოთარი მაღლაკელიძე
26. ზაზა კვინიკაძე
27. ლევან ჭანტურიძე
28. მაია კახნიაშვილი

აპარატის უფროსი დავით ბარბაქაძე

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2022 წლის 29 ივლისის სხდომის

სარჩევი

1. ,,ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 15 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

2. ქ. ზესტაფონში სტაროსელსკის ქუჩა N14-ში მდებარე 2683 კვ.მ-ი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კოდზე: 32.10.33.319) და ქ. ზესტაფონში სტაროსელსკის ქუჩა N14 -ში მდებარე 3376 კვ.მ-ი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კოდზე: 32.10.33.318), ს.ს. ,,ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაზე" უსასყიდლო სარგებლობის ფორმით გადაცემის თაობაზე.

3. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ცხრაწყაროს ადმინისტრაციული ერთეულის N2 და N3 ქუჩებისათვის სახელი „იმერეთის" მინიჭების შესახებ.

4. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მეორე სვირის ადმინისტრაციული ერთეულის N39-ე ქუჩისათვის „ვახტანგ აბულაძის" სახელის მინიჭების შესახებ.

5. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს__რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი პროექტების დაფინანსების მიღების მიზნით მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადებული წინადადებების მოწონების თაობაზე.
(მომხსენებელი გ. ჯუღელი - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე)

აპარატის უფროსი **დავით ბარბაქაძე**

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2022 წლის 29 ივლისის სხდომის
დღის წესრიგი

დასაწ: 12.00 სთ.

1. ,,ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 15 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

(მომხსენებელი ვ. ჩინჩალაძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

2. ქ. ზესტაფონში სტაროსელსკის ქუჩა N14-ში მდებარე 2683 კვ.მ-ი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კოდზე: 32.10.33.319) და ქ. ზესტაფონში სტაროსელსკის ქუჩა N14 -ში მდებარე 3376 კვ.მ-ი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კოდზე: 32.10.33.318), ს.ს. ,,ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაზე" უსასყიდლო სარგებლობის ფორმით გადაცემის თაობაზე.

(მომხსენებელი გ. ჯუღელი - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე)

3. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ცხრაწყაროს ადმინისტრაციული ერთეულის N2 და N3 ქუჩებისათვის სახელი „იმერეთის" მინიჭების შესახებ.

(მომხსენებელი ი. ფუტკარაძე - საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

4. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მეორე სვირის ადმინისტრაციული ერთეულის N39-ე ქუჩისათვის „ვახტანგ აბულაძის" სახელის მინიჭების შესახებ.

(მომხსენებელი ი. ფუტკარაძე - საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

5. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს__რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი პროექტების დაფინანსების მიღების მიზნით მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადებული წინადადებების მოწონების თაობაზე.

(მომხსენებელი გ. ჯუღელი - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე)

აპარატის უფროსი **დავით ბარბაქაძე**